გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

(„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე)

1. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონის მიღების მიზეზია განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია მოხდეს განათლების სფეროს ხელშეწყობა, მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამეურვეო საბჭოების მიერ კონტროლის უკეთ განხორციელების შესაძლებლობის შექმნა და მასში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მონწილეობის ხარისხის გაზრდა მათი წარმომადგენებისათვის სამეურვეო საბჭოს სხვა წევრებთან გათანაბრებული უფლებების მინიჭების გზით.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები საგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოში ისარგებლებენ ჩვეულებრივი (და არა სათათბირო) ხმის უფლებით. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა არჩეულ იქნენ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გაელენას იმ პირებზე რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახდის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებს.

<u>დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.</u>

<u>დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:</u>

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს.

<u>დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:</u>

კანონპორექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრის ხათუნა გოგორიშვილი

<u>დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.</u>

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.